2018 წლის 17 სექტემბრის
№183 ხელშეკრულების
**დანართი**

# შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა

,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" 2018 წლის 17 სექტემბრის
№183 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

**დაბა ჩაქვი** ,,19" ,,09" **2018 წელი**

,,შემსყიდველი": აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო, წარმოდგენილი უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის მაია ხაჯიშვილის სახით ერთი მხრივ და ,,შემსრულებელი": შპს ,,პოლიგრაფ-სერვისი", წარმოდგენილი დირექტორის ისმეთ ტანტიბას სახით მეორე მხრივ, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-13 მუხლისა და ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" 2018 წლის 17 სექტემბრის №183 ხელშეკრულების მე-2 მუხლის შესაბამისად, ვაფორმებთ წინამდებარე შეთანხმებას შემდეგზე:

1. ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" 2018 წლის 17 სექტემბრის №183 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების კორექტირების აუცილებლობიდან გამომდინარე ,,შემსყიდველი" და ,,შემსრულებელი" ვთანხმდებით ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 2018 წლის 17 სექტემბრის №183 ხელშეკრულებაში შევიდეს ცვლილება და ხელშეკრულების მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**მუხლი: 2.** ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ,,საინფორმაციო მასალის დამზადება-დაბეჭდვისა (**CPV: 79800000**) და საინფორმაციო აბრის (A4 ფორმატი) (**CPV: 39200000**)" დამზადებაზე მომსახურების გაწევის სახელმწიფო შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

2. ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" 2018 წლის 17 სექტემბრის №183 ხელშეკრულების დანარჩენი პუნქტები და დებულებები უცვლელია და მხარეები ადასტურებენ მათ მიმართ თავიანთ ვალდებულებებს, ისევე როგორც მთლიანად ხელშეკრულების მიმართ.

3. წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის შემდეგ და მოქმედებს ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" 2018 წლის 17 სექტემბრის №183 ხელშეკრულების მოქმედების ვადით.

4. წინამდებარე შეთანხმება დანართის სახით თან ერთვის ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" 2018 წლის 17 სექტემბრის №183 ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

წინამდებარე შეთანხმება შესრულებულია და ხელმოწერილია ქართულ ენაზე, 2 (ორი) ეგზემპლარად. ორივე ეგზემპლარს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა, 1 (ერთი) ეგზემპლარი ინახება ,,შემსყიდველთან", ხოლო მე-2 ეგზემპლარი ,,შემსრულებელთან".

**მხარეთა იურიდიული მისამართები და ხელმოწერები**

| ,,შემსყიდველი" | ,,შემსრულებელი" |
|---|---|
| აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის<br>უმაღლესი საბჭო | შპს ,,პოლიგრაფ-სერვისი" |
| მის.: დაბა ჩაქვი, მეგენეიშვილის ქ. №25<br>საიდენტიფიკაციო კოდი: 245 425 749 | მის.: ქ. ბათუმი, ლერმონტოვის ქ. №47<br>საიდენტიფიკაციო კოდი: 245 385 355 |
| ---------- | ---------- |
| აპარატის უფროსი: მაია ხაჯიშვილი | დირექტორი: ისმეთ ტანტიბა |